საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 12,500 მ. სამგლოვიარო განცხადება 15,000 მ.; კანტორა ღიაა დილის 8—2 საათამდე. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 12—1 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 500 მანეთი

ოთხშაბათი, სექტემბრის 28 1921 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტის მე-2 კურსის სტუდენტები ღრმა მწუხარებით აუწყებენ მეგობრებს და ნაცნობებს ამავე კურსის სტუდენტის ამხანაგ

**დავით ვასილის ძე ნაცვლიშვილის**

გარდაცვალებას. ცხედრის გამოსვენება მოხდება 28 სექტემბერს დილის 10 საათზე მიხეილის საავადმყოფოს სამლოცველოდან.

---

საქართველოს სახელმწიფო დეპეშათა სააგენტოს ([illegible]) ქართულ განყოფილების თანამშრომელნი გულითადი მწუხარებით აუწყებენ ქართველ საზოგადოებას ძვირფას დაუვიწყარ ამხანაგ თანამშრომლის

**დათიკო ვასილის ძე ნაცვლიშვილის**

გარდაცვალებას. ცხედარს გამოასვენებენ სექ. 28 დილის 10 ს. მიხეილის საავადმყოფოს სამლოცველოდან. დასაფლავება 28 სექ. წმ. ნინოს სასაფ.

## ტრიბუნიდან

21.

### ოსების ავტონომია.

ჩვენი საზოგადოების და ხელისუფლების წინაშე ოსების ავტონომიაა წამოყენებული. ეს საკითხი თავად-აზნაურულ ცხოვრებიდან არის გადმონერგილი და ჩვენთვის თავ-სატეხ საკითხად გადაქცეული.

იყო დრო, როცა კლუშინის ცირკულიარები, 1891 წლის 3 ივნისის კანონი, 1894 წლის სხდომები ტფილისში მთავარ-მართებლის სასახლეში, შემდეგ კანონი 1900 წლისა და ახალი ჰანკები 1908 წელში მხურვალე ბრძოლებს იწვევდა არსებითად იგივე ოსების საკითხი. მაშინ ეს ბრძოლა სწარმოებდა ხიზანთა საკითხის სახით, მის ირგვლივ. ეს იგი კლასობრივი (სოციალური) ხა- [illegible] ჩვენ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ თავად-აზნაურობის წყობილების ლიკვიდაციამ ოსების საკითხი, როგორც ხიზანთა საკითხი, გადასჭრა, დასრულდა ის სამარცხვინო ბრძოლა, რომელიც სწარმოებდა კლუშინის ცირკულიარის და 1893 წელში ალექსანდრე მე III-თვის მირთმეულ მოხსენების დროის ბრძოლები, დასრულდა ხიზანთა და ოსების სოციალური განთავისუფლებით.

დღეს ჩვენს წინაშე წმინდა ეროვნული საკითხია დასმული. აღსანიშნავია, რომ რამდენადაც თ.-აზნაურობა კარგავდა „სოციალურ იდეოლოგიის სარბიელს, იმდენადვე ის აზავებდა სოციალურ ზრახვებს ახალის მოტივით—ეს მოტივი იყო ეროვნული მოტივი. ოსების პრობლემა, როგორც ნაციონალური პრობლემა დასახა თავ.-აზნაურობის იდეოლოგიის წარმომადგენელმა ქართულს პრესაში განსვენებულმა ალ. ყიფშიძემ, ან. ფურცელამ და „კლდე“-მ. ეს პოლიტიკა ისახებოდა ხიზნების თავიდან მოშორებაში, მისთვის ისტორიულ უფლების აყრაში, მოიჯარადრეებათ დასახვაში, მათ აყრასა და გადასახლებაში.

ჩვენ არასოდეს არ ვიზიარებდით ოსებისადმი ასეთ დამოკიდებულებას და სასტიკ ბრძოლას ვაწარმოებდით ქართულს პრესაში ამ თავ.-აზნაურულ იდეოლოგიის წინააღმდეგ. ჩვენთვის შეუძლებელია ოსების საკითხი განვიხილოთ ეროვნულ შოვინიზმის თვალსაზრისით, რომელიც საქმის არევის მეტს არაფერს მოიტანს. მენშევიკობის ხანაში შენლა-შემახლმა უდიდესი ზიანი მოგვიტანა ქართველებსაც და ოსებსაც. ჯავშვების და ერის საკითხი ოცნებების და სასურველობის სფეროში შეუძლებელია გადავიტანოთ, სასურველი იქნებოდა, რომ საქართველოში ცხინვალის, მაჩაბლიანთ, ამირეჯიბის და ფალავანდიშვილების მამულებზე ყველა ქართველი ყოფილიყო, მაგრამ ასეთი სასურველობა გონებაშია წარმოსადგენი, ხოლო ხიბანდველებში სხვაა.

მაინც როგორ უნდა გადავსჭრათ ოსების საკითხი? ჩვენს საზოგადოებაში ხშირად გაიგონებთ ხსენებას „ოსეთი“. რასაკვირველია, საქართველოში ოსეთი არ არსებობს, ეს ბავშვმაც იცის მშობლიურ გეოგრაფიიდან, მაგრამ არიან ოსები, განსაკუთრებით გორის მაზრაში ჩამოსახლებულები, რომელთაც მისცეს მსხვილმა მემამულეებმა სამუშაო ადგილები. გორში იმიტომ მოხვდნენ ოსი-ხიზნები რომ მთელს საქართველოში გორის მაზრა ყველაზე დიდი მაზრაა დიდი მემამულეებით და მსხვილი მიწის მფლობელობით. მე 90 წლებიდან ხიზნების წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლა სწარმოებდა, მენშევიკობის ხანაშიაც შემცირდა იგი ძალა, მაგრამ თავი რომ გავანებოთ ამ უკანასკნელ დროს, აგრედვე სანახევროდ ყალბ მიმდინარე სტატისტიკას, ავიღოთ [illegible] (სხ. свод...“ 1893 წ) საიდან გორის მაზრის მოსახლეობას უფრო დაწვრილებით გავეცნობით. სამართველოს უბნების მიხედვით იყო სულ მცხოვრებნი ათასობით: *)

| | სულ | ამაში ოსები. |
|---|---|---|
| ცხინვალში | 53,0 | 33,6 |
| სურამში | 40,6 | 5,1 |
| ხიდისთავში | 38,0 | 7,3 |
| მეჯვრისხევში | 32,4 | 7,4 |
| ბორჯომის | 8,7 | 1,3 |

ესე იგი მხოლოდ ცხინვალის სამართველო უბანში მხოლოდ 63 პროცენტი ოსობაა, დანარჩენ უბნებში სრულიად უმნიშვნელო. ეს უბანი დაყოფილია 37 საზოგადოებად, რომლებშიაც გაფანტულია ქართლური 198 სოფელი. ავიღოთ თვის სოფლის საზოგადოებები სადაც ოსობაა, ე. ი. ცხინვალის უბანი:

| | სულ | ოსები |
|---|---|---|
| ბელოთის საზ. | 975 | 39 |
| ვანათის „ | 421 | — |
| დვანის „ | 1.614 | 529 |
| ჯავის „ | 2.722 | 2712 |
| ჯავისთავის „ | 1.338 | 1.338 |
| ჯომადის „ | 583 | 583 |
| ქრიის „ | 1.171 | 1.163 |
| ზალდას „ | 1.295 | 1.295 |
| ზგუბირის „ | 904 | 783 |
| ზონქარის „ | 853 | 853 |
| ქემერეთის „ | 1.175 | — |
| ქოზვის „ | 1.404 | — |
| ქეშელთას „ | 1.663 | 1.654 |
| კოდის „ | 1.087 | — |
| ყორნისის „ | 2.154 | 2.139 |
| კოშკინის „ | 1.558 | 1.558 |
| მეგვრეკისის | 769 | — |
| მსხლების „ | 3 383 | 3.380 |
| ორთევის „ | 1.446 | 1.485 |
| როკის „ | 902 | 892 |
| საქაშეთის „ | 703 | 14 |
| საჩიხის „ | 706 | 706 |
| თამარაშენის | 803 | 1 |
| თლის „ | 1.113 | 1.111 |
| თლიის „ | 403 | 403 |
| თამარმანეულის | 1.457 | 1.361 |
| თირზნისის | 1.390 | — |
| ხ ჯარიანთ-კარის | 1.240 | 1.240 |
| ხეითის „ | 728 | — |
| ხვითის „ | 1.771 | — |
| წუნარის „ | 2 165 | 2.163 |
| ცხინვალის „ | 3.832 | — **) |
| ჩვრივის „ | 3.605 | 3.606 |
| შინდისი „ | 1.722 | — |
| ქდისის „ | 1 420 | 1.414 |
| ელტურის „ | 1.059 | 1.059 |
| ერედვის „ | 1.511 | 252 |

*) ვიღებთ ამ სტატისტიკას, როგორც ოსებისათვის ყველა სხვა მასალაზე სასარგებლოს.

აქედან აშკარაა, რომ ერთად ერთ სამართველო უბანში, ცხინვალის რაიონში, სადაც ოსობა 63 პროც. უდრის 37 საზოგადოებაში ხუთმეტი საზოგადოებაა, სადაც ოსი ან სულ არ არის, ან მეტად მცირეა, ესე იგი დარჩენილია რაღაც 22 საზოგადოება, სადაც მთლიანად ოსებითაა დასახლებული.

ცხინვალის რაიონის ოსობა რომ ირიცხებოდეს არა 33 ათასი, არამედ 330 ათასი და მეტიც თუნდაც მარტო გორის მაზრის ტერიტორია კიდევ შეიძლებოდა ავტონომიაზე ლაპარაკი, მაგრამ ოსების „უბედურებაც“ იმაშია, რომ იმათ ასახლებდნენ თავისუფალ მიწაზე განურჩევლად თუ სად მოხვდებათ. ამიტომ მიეცით ავტონომია ცხინვალის ოსობას, რას უზამთ ბორჯომის, მეჯვრისხევის, სურამის და სხ. ოსობას? შეუძლებელია ისეთი მთლიანი და საგრძნობი მიდამოს გამოჭრა, სადაც ოსობას შე ქმნიდეთ. მათ ხელში ერთი საპოლიციო უბანიც არ აქვთ სავსებით. რასაკვირველია, ლაპარაკიც შეუძლებელია ოსების ავტონომიაზე, როგორც პოლიტიკურ სისტემაზე. რა თქმა უნდა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ოსების კულტურულ ნაციონალურ უფლებებისათვის არ ვიზრუნოთ. მათი დედა-ენა, ადათი, ჩვეულება, სკოლა, მმართველობა „ფართო ადმინისტრატიული თვითმართველობის ფარგლით მათ უნდა მიენიჭოთ, როგორც ყველა შესამჩნევ ეთნიურ ძალას. სხვა უფლებებზე ლაპარაკი ფაქტიურად შეუძლებელია, რომ ეკონომიური, ფინანსიური და კულტურული მოტივები არ მოვიყვანოთ.

დიდი სიფთხილე გვმართებს ასეთი საკითხების გადაჭრისას. სრული მასალა და ცნობა უნდა გვქონდეს ხელში. საქართველოში ჩვენ არა ერთ საზოგადოებას ვნახავთ, განსაკუთრებით ბორჩალოს მიმართულებით, ახალქალაქის და ახალციხის ხაზით და ყველგან თუ ავტონომიებზე ვილაპარაკეთ მაშინ დიდა საქართველო დაგვრჩება დიოგენის ფარნით სახჩრეკი. ასეთ პოლიტიკას უნდა ვერიდოთ თუნდაც ეს დროებითი ან ტაქტიკური ზომა იყოს. ამ შემთხვევაშიაც მაინც ჩვენი ეხლანდელი მთავრობა სახელმძღვანელოდ მიიღებდეს ჯუღაშვილის ნაშრომს, საბჭოთა ძალის პოლიტიკას ეროვნულ საკითხში“, რომელიც მოთავსებულია მის „Сборник статей“-ში, რასაკვირველია ავცილდება ძალიან აჩქარებული ექსპერიმენტები. ჩვენ მაინც მოვითხოვთ, რომ მოვერიდოთ ასეთ ექსპერიმენტებს.

თედო ღლონტი.

**) ცხ. საზ. სომხები 744, ქართვ.—1135, გამოუ[illegible]ჯველებში საგრძნობი ნაწილი ოსობაა.

## ქალთა ორგანიზაციის საკითხი საქართველოში

1.

ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში ქალთა ორგანიზაციების გარშემო მეტად ბევრი ითქვა და მეტად ბევრი დაიწერა. ფემინისტური მოძრაობის განვითარებამ და მისმა ორგანიზაციის სტრუქტურამ საკმაო პრაქტიკა და გამოცდილება მოგვცა ქალთა ორგანიზაციის საკითხის გარჩევისათვის. ევროპაში ქალთა მოძრაობამ თავისი განვითარების ეტაპები განვლო და ბევრი რამ გამოაშკარავდა, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი. წარსულის ისტორია მომავლისათვის სახელმძღვანელოდ უნდა იქნეს მიღებული და ჩვენც უნდა ვხელმძღვანელობდეთ იმ გამოცდილებით, რომელიც მოგვცა ფემინისტური მოძრაობის ისტორიამ.

საერთოდ ქალთა ორგანიზაციის საკითხს ქალთა საკითხს უკავშირებენ და ამბობენ, რომ როგორც რამდენადაც ქალს შეუძლია სოციალ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღება, იმდენათ და ისე უნდა იყოს ქალთა ორგანიზაციის სტრუქტურაო.

მართლაც არ შეიძლება ქალთა საკითხის გარეშე ქალთა ორგანიზაციაზედ ლაპარაკი. რამდენადაც ყოველ ორგანიზაციას გარკვეული მიზნები აქვს, რომლისკენ სწრაფვაში ისახება ორგანიზაციის არსებობის მნიშვნელობა, იმდენათ ქალთა ორგან. გარკვეული იდეალი უნდა ქონდეს. თუ ორგანიზაციას, როგორიც არ უნდა იყოს იგი, არა აქვს გარკვეული მიზნები. ცხადია ასეთი ორგანიზაცია თავის თავად უაზრობაა და მის არსებობას არავითარი რეზონი არა აქვს.

მაშასადამე სანამ ქალთა ორგანიზაციის სტრუქტურაზე რამეს ვიტყოდეთ, უნდა ვიცოდეთ თუ რა საკითხი არსებობდა და რა საკითხები არსებობს დღეს ქალებისათვის, როგორც სქესისათვის.

ამისათვის ჩვენ პატარა ექსკურსია უნდა მოვახდინოთ ფემინისტური მოძრაობის ისტორიიდან, რომ ჩვენთვის გარკვეული იქნეს, თუ როგორი იყო ის მიზეზი, რის წყალობითაც პირველად აღმოცენდა ქალთა ორგანიზაცია. ცხადია სოც-პოლიტიკური სახის ორგანიზაციის აღმოცენებას რაიმე სოციალური საფუძველი ექნებოდა.

ქალთა ორგანიზაციის აღმოცენებას პოლიტიკური უფლების მოპოება ედო საფუძვლად. ჩვენ შორს წაგვიყვანს იმის გამორკვევა, თუ როგორი იყო ქალთა სოციალური ცხოვრების პირობები. საკმაოა ვიცოდეთ, რომ ქალის შრომის გამოყენებამ, რომელიც უფრო ფართოდ კაპიტალისტური მეურნეობის პერიოდში ჩამოყალიბდა, შესაძლებელი გახადა ქალთა წრეების დაახლოვება, მისი ორგანიზაციული დარაზმვა და ბრძოლა უფლებებისათვის, რასაც ლოღიკურად უნდა მოჰყოლოდა ქალთა ორგანიზაციების დაარსება და ასედაც მოხდა.

ქალთა ორგანიზაციის მიზანი მაშინ გარკვეული და ნათელი იყო. ეს მიზანი თანასწორ-უფლებიანობისთვის ბრძოლაში იხატებოდა.

ბურჟუაზიული წრის ქალები ვერ წავიდოდნენ რევოლიუციურ ტაქტიკამდე და ვერ შეძლებდნენ რადიკალიზმის ნიადაგზე დადგომას, ისე როგორც პროლეტარული ელემენტები ვერ დაკმაყოფილდებოდნენ მხოლოდ ზოგიერთ დარგებში მუშაობის უფლებებით და უფრო რადიკალ გზას აირჩევდნენ. სხვა და სხვა გზა არ იქნებოდა. კლასთა არსებობის დროს ზეკლასიური, ქალური ორგანიზაცია ერთიანი მიზნებით შეუძლებელი იყო და ასედაც მოხდა.

ფემინისტურ მოძრაობაში თავი იჩინა ორმა მიმართულებამ: ბურჟუაზიულმა და სოციალისტურმა. ასეთი ანტაგონიზმი გამოაშკარავდა 1893 წ. ქალთა საერთაშორისო კონგრესზე ჩიკაგოში.

1866 წ. ბერლინის კონგრესზე ცდილობდნენ, რომ კლასობრივ ანტაგონიზმისათვის თავი დაეხწიათ, მაგრამ ეს ჰარმონიული მყუდროება ლილი ბრაუნის სიტყვამ დაარღვია, რომელიც სოციალური თვალსაზრისით უდგებოდა საკითხს. (ლილი ბრაუნის სიტყვა ოქმებში არ იქნა შეტანილი).

მეორე წელს ბრიუსელის კონგრესზე ბურჟუაზიულმა ნაწილმა კონგრესის გახსნის დროს დეკლარაცია წაიკითხა და სალამი მიუძღვნა ყველას, ვინც კლასობრივ ნიადაგზე არ იდგა. ასეთივე ხასიათი ქონდა ლონდონის კონგრეს 1899 წ. და პარიზის კონგრეს 1890 წ.

ბერლინში 1904 წ. მეტი რადიკალური გზა იქნა მიღებული, ხოლო შემდეგი კონგრესი კოპენჰაგენში მოხდა 1905 წ. რუსეთის რევოლიუციის დროს, რამაც დიდი გავლენა იქონია კონგრესის მუშაობაზე თუმცა მიუხედავად ამისა, კონგრესმა გაბედული ნაბიჯები ვერ გადადგა.

შემდეგ კონგრესზე ამსტერდამში, რომელსაც 300 ქალი დაესწრო, ფინლანდიის წარმომადგენელს სიტყვა წაართვეს იმისათვის, რომ ფინლანდია რევოლიუციონური ქვეყანაა. ეს კონგრესიც ზომიერ ტაქტიკას ვერ გაშორდა.

კლასობრივმა ანტაგონიზმა ბოლოსა და ბოლოს ორად გაჰყო ქალთა ორგანიზაციები ყველგან და აღარ მოხერხდა ერთი ქალური ორგანიზაციის არსებობა.

ინგლისში დაარსდა „ნაციონალი კავშირი ქალთა საარჩევნო უფლებისა“, რომელშიაც თავი მოიყარა ბურჟუაზიულმა ნაწილმა, ხოლო მეორე ორგანიზაციის გარშემო, „ქალთა სოციალ-პოლიტიკური კავშირის“ ირგვლივ, შემოკრბა დემოკრატიული და, ისე ვსთქვათ, უფრო რადიკალურად მოაზროვნე ნაწილი.

ანალოგიურ მოვლენას ადგილი ჰქონდა საფრანგეთში. მემარჯვენეთა ორგანიზაცია იყო ეგ. წოდ. „ნაციონალური კავშირი“, ხოლო მემარცხენეთა ორგანიზაციას ეწოდებოდა „ქალთა სოლიდარობა“.

გერმანიაში ქალთა ორგანიზაცია „ნემეც ქალთა კავშირების ასოციაცია“ მეტად ერთიანი ორგანიზაცია იყო, რომლის კურიოზული დადგენილებანი სავსებით ახასიათებს ამ ორგანიზაციას. აქაც თავი იჩინა საერთო სენმა და მას გამოეყო მემარცხენე ფრთა და კლასობრივი ანტაგონიზმი გამოაშკარავდა.

ასეთი იყო ის ტენდენცია, რომელმაც თავი იჩინა ფემინისტურ მოძრაობაში და მოახდინა ქალთა მთლიანი ორგანიზაციების დაშლა.

მაგრამ როგორი იყო ქალთა ორგანიზაციების ბრძოლის იარაღი? რა შედეგები მოჰყვა მათ ბრძოლას?

როგორი უნდა იყოს ქალთა ორგანიზაციის სტრუქტურა?

ამაზე შემდეგ.

ხერ ამაღლობელი.

## † დათია ნაცვლიშვილი

ჩვენ ახალგაზრდათა სიკვდილის ზოლების მიმართულებას ვუჩვევდით...

საქართველოს ფერუზ სამშობლოს კალთებს მრავლად ებარებიან ჩვენი ქართველნი ჭაბუკნი...

სიკვდილი!— ს [illegible] მოგონება დღეს ჩვეულებრივ [illegible] ცა.

გუშინ ჩვენთან მოსულ [illegible] ამხანაგი დათა სამი დღის ავადმყოფობის შემდეგ უკვე სიკვდილის განჩინებას მიეცა.

გუშინ საქართველოს სიყვარულით აღსავსე, მისი იმედით მომღიმარი, მისი თავისუფლებისთვის მრავალ სადარაჯოზე მდგომი—მებრძოლი პატრიოტი, მოწამე ყველა ომების, რომელიც კი საქართველოს თავს დაატყდა სამი წლის დამოუკიდებლობის არსებობაში, დღეს იმავე სამშობლოს მიწის სავანეს ეკვრთება...

სახელმწიფოს უნივერსიტეტის ამხანაგები მედიკები გამოიტირებენ ძვირფასი ამხანაგის დაკარგვას...

საქართ. სახე. დეპეშათა სააგენტოს ქართული განყოფილების თანამშრომელნი თავის ნამდვილ თანამშრომლის უდროო სიკვდილს დაიტირებენ...

მრავლად გვაკლდება ახალგაზრდობა ეს იმედი მომავლისა და ინტელექტური ენერგიის გამომჟღავნებისა ერის ცხოვრებაში...

ჩვენც ამას ვტირით, ჩვენც ამას ვგლოვობთ.

ამხანაგების მონდობილობით

გ. მაღრაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მარქსიზმი და ლენინიზმი

(დასასრული)

19

ლენინისტურ დიქტატურის ბუნების ანალიზი უფრო ცხადყოფს იმ დიამეტრალ მიმართებას, რომელიც სუფევს მარქსიზმსა და ლენინს შორის. პროლეტარიატის დიქტატურა არ ეწინააღმდეგება მარქსისტულ სულისკვეთებას. კაცობრიობის ისტორიაში პროლეტარიატის დიქტატურის პირველი მაგალითი პარიზის კომუნამ მოგვცა. მარქსი ამ დიქტატურას თანაგრძნობით და დიდის ენტუზიაზმით ეკიდებოდა. პროლეტარიატის დიქტატურა მარქსისტულ თვალსაზრისით მისაღებია იმ შემთხვევაში, თუ პროლეტარული მასსა ერის აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენს. მარქსის ნაწერებში ჩვენ ვერ დავინახავთ არც ერთ ადგილს, სადაც ლაპარაკი უმცირესობის დიქტატურაზე იყოს. რუსეთში, როგორც ვიცით, საზოგადოების პროლეტარული ნაწილი ძლიერ უმნიშვნელოა. ეს კარგად იცოდა ლენინმაც, და რომ არ მომხდარიყო უმცირესობის მიერ უმრავლესობის უფლებათა უზურპაცია, მან გააფართოვა დიქტატურის ჩარჩოები, ასე რომ შიგ პროლეტარიატთან ერთად მშრომელი გლეხობაც ჩასვა. საბჭოთა მთავრობა მუშურ გლეხური მთავრობაა, ამბობს ბუხარინი, რუსეთი მუშურ-გლეხური სახელმწიფოა [29]). დღეს რუსეთში უმრავლესობა ბატონობს უმცირესობაზე, მშრომელთა კლასი (პროლეტარიატი და გლეხობა) ბურჟუაზიაზე. ამით ლენინმა უზრუნველჰყო მარქსიზმის ერთი პრინციპი—უმრავლესობის დიქტატურა. მაგრამ მარქსისტულ ორთოდოქსიის ხაზილობრივად მიდებას მარქსიზმის მთელი უარყოფა უპირისპირდება, რადგანაც ლენინი მუშურ-გლეხურ დიქტატურაზე ლაპარაკობს, და არა წმინდა პროლეტარულზე. მარქსიზმი ანტიგლეხური მოძღვრებაა. გლეხი კონსერვატორია, რეაქციონერი, წვრილი მესაკუთრე, ბურჟუაზიულ ფსიქიკით გაჟღენთილი, რომელიც მიილტვის ისტორიის ჩარხის უკუღმა დატრიალებისაკენ, გვამცნობს „მანიფესტი“. მარქსი სწერს: „წვრილი სამდგილ-მამულო საკუთრება ქმნის ბარბაროსთა კლასს (ე. ი. გლეხობას გ.—ლი), რომელშიაც ერთდება პრიმიტიულ საზოგადოებათა მთელი სიტლანქე განათლებულ ქვეყნების წამებით და უბედურებით“ 30). მარქს-ენგელსს გლეხობა, როგორც შეკავშირებული ძალა, საერსებოთ კი არ მიაჩნდათ, არამედ აუცილებელ მოსასპობად: გლეხობას მოსპობს კაპიტალიზმის იგივე კანონი, რომელიც მოქმედობს ინდუსტრიაში. თუ ქალაქებში, სამრეწველო ცენტრებში ინდუსტრიალი კაპიტალიზმი მეფობს, სამაგიეროდ სოფლად აგრარული კაპიტალიზმი ვითარდება, რომლის თვისებაა მშრომელი გლეხობის გადატაკება და გაპროლეტარება. „მიწადმოქმედების სფეროში—ამბობს მარქსი,—კაპიტალისტური წარმოება რევოლიუციონურად მოქმედობს, რამდენად იგი ამსხვრევს გლეხ მიწადმოქმედის (Bauer) ძველ საზოგადოებას და ხდის მას (გლეხს) დაქირავებულ მუშად“ 31). აგრარულ ევოლიუციაშიც იგივე ხდება, რაც მრეწველობაში, ამიტომ „ჩვენი წვრილი გლეხობა (მსხვილზე ხომ ლაპარაკიც მეტია! გ.-ლი)—სწერს ენგელსი,—წარმოების საშუალების, როგორც ძველი ნაშთი, აუცილებლად განწირული დასაღუპავად“ 32). მოკლედ, მარქსისტული თვალსაზრისით, დღევანდელი გლეხი ხვალინდელი პროლეტარია. გლეხის გაპროლეტარება ევოლიუციის აუცილებლობა, ხოლო პროლეტარის გაგლეხება—უბრალო შემთხვევა. პირველი მოვლენა პროგრესიულია, მეორე—რეგრესიული, ანტიკულტურული. ამრიგად ცხადია, რომ გლეხობის აპოლოგია იგივეა, რაც მარქსიზმის უარყოფა. მარქსისტულ სოციალიზმისათვის გლეხ კაცობა მკვდარი ინვენტარია. გლეხობა ცხოვრების წინსვლის ტორმაზია, იგი „ბარბაროსთა კლასი“. ასეთია ორტოდოქსალი მარქსიზმის შეხედულება გლეხურ მასაზე. ლენინის მიერ არჩეული გზა სრულებით არ მიემართება მარქსიზმისაკენ. მარქსიზმი ცალმხრივია, ანთითეტიურია: იგი მშრომელთა კლასის ერთი ნაწილის — პროლეტარიატის მოძღვრებაა. ლენინი უფრო ფართო მასშტაბით სვამს საკითხს, მისი შეხედულება ყოველმხრივ მეცნიერული, სინთეტიურია: იგი აერთებს მუშას და გლეხს, საზოგადოების მშრომელ ნაწილების სინტეზს ქმნის. გლეხობა და პროლეტარიატი ერთმანეთის მტერი არაა, ისინი ერთ მთელის —მშრომელთა კლასის საზოგადოებრივი ნაწილებია. მიწის მუშა—გლეხი და ქარხნის მუშა—პროლეტარი ორივე მუშაა, მათ შორის ინტერესთა სრული ჰარმონიაა, სოლიდარობა. მუშურ გლეხური დიქტატურა დღეს უდიდესი სოციალისტური და რევოლიუციონური აქტია, ორტოდოქსალი მარქსიზმის უარისმყოფელი. გლეხური სახელმწიფო და მარქსიზმი! აი სად ერთდება ტრაგედია და კომედია! თანამედროვე არამარქსისტ სოციალისტებისათვის აშკარაა, რომ მხოლოდ მუშურ-გლეხურ დიქტატურით შეიძლება მსოფლიოს განახლება, განთავისუფლება, რადგან კაცობრიობის აბსოლუტურ უმრავლესობას მუშა და გლეხი წარმოადგენს. ლენინისტური ანტიმარქსისტული მუშურ-გლეხური ბატონობა ისახავს სწორედ ამ გზას, და ეს მიუცილებელი თავდებია იმისი, რომ მსოფლიო სოციალისტური რევოლიუცია—საზოგადოდ, და რუსეთის რევოლიუცია—კერძოდ,—მიიღებს უდიდეს ისტორიულ გამარჯვებას.

ლენინი შორსაა ეროვნულ ნაციონალიზმისაგან და ამ შემთხვევაშიაც უკანასკნელად ესალმება ორტოდოქსალი მარქსიზმს „საბჭოთა მთავრობა—აღნიშნავს ამხ. თ. ღლონტი,—მეგობრობის ხელს უწვდის ყველა ხალხებს და ერთგულია ერთა თვითგამორკვევის პრინციპის“ 33). ეს რომ დეკლარატიული განცხადება არაა, მტკიცდება იმით, რომ ლენინი რუსეთის ერთა ცხოვრებას აწესრიგებს ფედერაციის საფუძვლებზე. ჩვენ ვხედავთ რუსეთის არა უნიტარულ-ცენტრალისტურ სახელმწიფოს, არამედ საბჭოთა სოციალისტურ-ფედერატიულ რესპუბლიკას. სად არის აქ მარქსიზმი? აქ თვით ლენინიც აღიარებს იმას, რასაც ჩვენ ზევით აღვნიშნავდით, სახელდობრ—მარქსის უკიდურეს ცენტრალისტობას 34). უნიტარიზმი და ფედერალიზმი პოლიტიკურ ფილოსოფიაში მოწინააღმდეგე პოლიუსებია. პირველი ბურჟუაზიული ცნებაა, მეორე,—სოციალისტური. პირველი მარქსიზმის საფუძველია, მეორე კი მისი უარყოფაა. ლენინმა უკუაგდო ცენტრალიზმი პოლიტიკაში და აღიარა ფედერალიზმი, ამით უდიდესი საქმე გააკეთა ინტეგრალი სოციალიზმისათვის.

მიწის სოციალიზაციის და ერთა ფედერაციის აღიარება უკანასკნელი სიტყვაა ლენინის მიერ მარქსიზმის საფლავზე წარმოთქმული. ეს ასეც უნდა მომხდარიყო: მარქსიზმი რევოლიუციონური და პროგრესიული მოვლენა იყო მე-XIX საუკუნეში, მე-XX საუკ. უარყო იგი. ჩვენ ისეთ ხანაში ვცხოვრობთ, რომელიც დევის ნაბიჯით წინ მიისწრაფის, სთქვა ერთხელ ბებელმა. ყოველივე წინსვლა არსებულ მოძღვრება-შეხედულებათა ცვლაა. ასეთია ევოლიუციის კანონი. ამიტომ არავითარ სიურპრიზათ არ უნდა მოგვეჩვენოს ის მოვლენა, რომ ერთ ხანაში ჩამოყალიბებული სისტემა მომდევარ ეპოქამ ერთიანად უარყოს. მარქსიზმი მე XIX საუკუნის აზრთა მიმდინარეობის ასახვაა, ლენინიზმი მე-XX ს. ფილოსოფიაა. შეიძლება ეს უკანასკნელიც უარყოს ცხოვრების შემდეგი ევოლიუციამ, ასეთია ისტორიის დინამიკა. panta rei, ამბობდა ჰერაკლიტე, და ეს ფორმულა ანტიური ფილოსოფიის წარმომადგენლისა შეეხება არა მარტო სოციალ-პოლიტიკურ განვითარების, არამედ გონებრივი შენობის, იდეოლოგიისაც.

ამრიგად, ლენინიზმი და მარქსიზმი იმყოფება არავითარი წინააღმდეგობაში: პირველი მეორის გაბათილებაა, მეორე პირველის უარყოფაა. სამართლიანად მსჯელობდა გ. პლეხანოვი, რომელიც ჯერ კიდევ 15 წლის წინეთ სწერდა: „ლენინი და მისი ძმები ოდესღაც მარქსისტები იყვნენ. ყველა ისინი დღესაც თავს მარქსისტებად თვლიან. მაგრამ ეს ილუზიაა, ამ ხალხის ტაქტიკაში,—აგრეთვე ბევრ სხვაშიც—დიდი ხანია არ არის მარქსიზმის არც ერთი ატომი“ 35). რომ ეს ახლა, ამაში,—თუ არა დღეს, ხვალ მაინც, კომუნისტებიც დარწმუნდებიან. და რამდენად ლენინი მარქსიზმს მოსცილდება როგორც პრაქტიკაში, ისე თეორიაში, იმდენად გახდება იგი უდიდესი რევოლიუციონერი და მსოფლიო მუშათა მასსების სულისკვეთების გამომსახველი. ლენინმა გადადგა პირველი ნაბიჯი სოციალ-დემოკრატობის უკუგდებით, ასეთივე გაბედულებით უნდა უარყოს მან „მარქსისტის“ ნომინალი სახელწოდებაც. ფორმალიზმი დიდი ხანია განდევნილია მეცნიერებიდან, არ ითმენს მას არც პოლიტიკა. Wer A sagt, muss auch B sagen! მარქსიზმიდან წინ!—აი თანამედროვე დევიზი.

გ. მუშიშვილი.

[29]) Н. Бухарин. Программа коммунистов, 34, 35...

30) К. Маркс. Капитал, III, 847—348.

31) К. Маркс. Капитал, I, 418, აგრეთვე გვ. 541.

32) Ф. Энгельс. Крестьянский вопрос во Франции и Германии, 28.

33) Ф. Глонти. Аз. пол. большевиков, 108.

34) ლენინის დასახელებული წიგნი გვ. 55.

35) Г. Плеханов. Письма о тактике и о бестактности, 68. ის. აგრეთვე გვ 20.

# კაეშანი

ქვეყნის ბედმა ამატირა, დამავიწყა ჩემი დარდი,
აღარ მხიბლავს ზურმუხტ-მდელო, არც მიზიდავს ია-ვარდი,
აღარ მიხმობს ტყის შრიალი; რუ რაკ-რაკა მონავარდე,
არც პეპლების მორთულობა, არც მერცხლების ფრენა მარდი.
ტანჯულთ კვნესამ ამაგლოვა, შემაძულა ყოველივე.
აღარ მიწვევს კორდი მწვანე, არც ზღვის ტალღა მოლივლივე,
ვარსკვლავები მიიმალნენ, ჩამობნელდა ბადრი მთვარე,
ბნელ წყვდიადით მოცულია ჩემს გარშემო არე-მარე.
ირგვლივ დაძრწის ტარტაროზი, დამცინავი, მოხარხარე,
და არ ვიცი, ვის ეკუთვნის ეს ქვეყანა, ჩვენი მხარე!
ვაჟკაცთ ოხვრა, ქალთ წუწუნი, ჩვილ ყმაწვილთა ცრემლთ ნაკადი,
კვლავ სიცივე, კვლავ სიმშილი, შრომის შვილთან დანაბადი..
ქვეყნის ბედმა ამატირა, დამავიწყა ჩემი დარდი,
აღარ მხიბლავს ზურმუხტ-მდელო, არ მიზიდავს ია-ვარდი.

კაპიტონ.

# ახალი ამბები

— ახალი ჟურნალი. უკვე შეუდგენ სახალხო განათ. კომ. პერიოდულ ჟურნალის პირველი ნომრის გამოცემას. მთავარი ყურადღება ჟურნალში მიქცეული ექნება კომუნისტური განათლების ამოცანებს, ორგანიზაციას მთლიანი შრომის სკოლისა და პოლიტიკო-განათლებისათვის მუშაობის ორგანიზაციას. მატერიალები პირველი ნომრისათვის იწყობა და ახლო დღეებში სახელმწიფო გამომცემლობა შეუდგება მის ბეჭდვას. ჟურნალი გამოვა ყოველ-თვიურად.

— ხალხში. მუშათა ცენტრალური კლუბი ამზადებს საღამოს პოეტ ბლოკის სახელის აღსანიშნავად. პროგრამაში განზრახულია იყოს „ბალაგანჩიკი“ და დივერტისმენტი პოეტის ნაწარმოებიდან; აგრეთვე რიგი ლიტერატურული მოხსენებებისა.

— ახალი თეატრი. მუშათა კლუბმა მიიღო თავის განკარგულებაში თეატრი საბჭოთა პირველ სახლში (ყოფილი სასტუმრო „ნოე“), ამ ჟამად შეუდგენ სცენისა და მაყურებელთა დარბაზის მოწყობა-შეკეთებას. თეატრის გახსნა განზრახულია 15 ოქტომბრისათვის.

# რუსეთი

მოსკოვი. სრულიად რუსეთის კომ. ახალგაზრდათა ყრილობაზე ამხ. ზინოვიევმა განაცხადა: საბჭოთა რუსეთმა უარჰყო პოლონეთის ულტიმატუმი. ყველა მუშათა კრებებზე, რომელზედაც ჩვენ ვეკითხებოდით: სწორია თუ არა ჩვენ მიერ უარისყოფა პოლონელი ბურჟუაზიის ურცხვი მოთხოვნილებისა, ჩვენ მივიღეთ ყველგან დამადასტურებელი პასუხი. დიახ საბჭოთა ხელისუფლება მოიქცა სწორად. რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკამ უკვე გადაიტანა ის ხანა, როცა რომელიმე ბურჟუაზიულ მთავრობას შეეძლო ეკარნახა მისთვის ესა თუ ის ულტიმატუმი. დეე ყველა ბურჟუაზიულმა მთავრობებმა ერთხელ და სამუდამოდ დაიხსომონ რომ ჩვენ ომი არა გვსურს, მაგრამ არის საზღვარი, რომლის იქით ჩვენ წასვლის ნებას არავის მივცემთ.

3 სექტემბერს, განაგრძობს ამხ. ზინოვიევი საფრანგეთის მთავრობამ მოსთხოვა პოლონეთის მთავრობას, რომ მას წამოეყენებინა ჩვენთვის ულტიმატუმი. 7 სექტემბერს, ინგლისის მთავრობამ წამოაყენა საბჭოთა რუსეთის წინაშე მრისხანე ნოტა, რომელშია ცადნიშნულია რომ კომუნისტური ინტერნაციონალი აღმოსავლეთის კოლონიებში აწარმოებს პროპაგანდას; ნოტაში მოყვანილია მთელი წყება დოკუმენტები, რომელშიაც დიდი უმრავლესობა ყალბია. დღეს ჩვენ გავუგზავნეთ ტელეგრამა ინგლისის კომუნისტურ პარტიას და ვთხოვეთ მას გადასცეს ინგლისის მთავრობას, რომ ის ამაოთ ფლანგავს ფულებს ყალბი დოკუმენტების შესაძენად, როცა კომინტერნი მზათ არის მისცეს მას სრულიად უფასოდ თავისი მოწოდებანი. უკანასკნელი მომხდარი ამბები გვიჩვენებს, რომ სრული სიმშვიდე ჯერ არ არის დამდგარი და რომ ამა თუ იმ წუთში მოსალოდნელია დარღვევა ჩვენი სამშვიდობო მუშაობისა და მთელი რესპუბლიკის გამოცხადება სამხედრო მდგომარეობაში,

რაც შეეხება ჩვენს ახალ ეკონომიურ პოლიტიკას და პარტიის გაწმენდას, რომელმაც მოუსწრო ამ ცვლილებას, ამბობს ამხ. ზინოვიევი თავის სიტყვის დასასრულში, უნდა ითქვას, რომ ჩვენ მიერ საჭირო დათმობის გასაკეთებლათ გლეხთადმი, საჭიროა, რომ ჩვენი პარტია ჩამოსხმული იქნას ერთი ნაჭერისაგან.

# დაგვიანებული პასუხი

ჩემ წერილებს „წითელი რკინისგზელის“ რედაქცია და მისი უებარი რეცენზენტი გ. ჩარხიშვილი საომარ გუნებაზე დაუყენებია. თითქმის მთელი გვერდი ამ გაზეთისა (№ 13) ჩემ საწინააღმდეგო წერილებს უჭირავს. არენაზე გამოდის რედაქციაც და ჩარხიშვილიც. რამ გამოიწვია ასეთი მობილიზაცია? რედაქციას რომ ჰკითხოთ:—„უკბილო ჩიფჩიფმა და უაზრო წინადადებამ“. (ასეთია ამხანაგური კილო „წით. რკინისგზელის“ რედაქციისა!) ყოჩაღ ბიჭებო!..

მე გულწრფელად ვსწერდი, რომ პროფესიონალური კავშირის ორგანო არ უნდა იყოს პარტიული ორგანო, ის დამთავრესად უნდა იცავდეს წევრთა პროფესიონალურ ინტერესებს, არ უნდა თანხმდებოდეს სხვა პარტიის წევრებს და ხელს უწყობდეს წევრთა შორის თანხმობას, სოლიდარობას. ასე მესმის მე დამოუკიდებლობა, ამისათვის ვიბრძოდით ჩვენ მენშევიკების ბატონობის დროს და ამაში ძხარს გვიჭერდნენ ბოლშევიკებიც.

ამაზე გაზეთი გვიპასუხებს: „17 მილიონმა პროლეტარიატმა სამუდამოდ უარყო ე. წ. „დამოუკიდებლობა“—ფედერალისტური ეკონომია და პოლიტიკაც და თვით კომუნისტური ინტერნაციონალი [illegible] ტივებით [illegible] სრულიად [illegible] მაწუხებს და რასაც მოვითხოვდი უთავრესად: კავშირის წევრებისადმი ამხანაგურ მოპყრობას. და საჭიროა რედაქციამ გვიპასუხოს, რომელი ინტერნაციონალის დირექტივები ავალებს ასეთ ორგანოს ლანძღოს კავშირის ყველა წევრები, ვინც ბოლშევიკი არაა?

რაც შეეხება ფედერალისტების ეკონომიკას და პოლიტიკას, რომელიც თურმე 17 მილიონ პროლეტარიატს უარუყვია, ეს ჩვეულებრივი რადიო-ჭორია, რომელსაც თ. ღლონტის ჭურებამდე ჯერ არ მიუღწევია. მაგრამ სანამ ასეთ ჭორებს გამოაზეურებდეს „წით. რკინისგზელის“ რედაქცია, ვურჩევთ თვითონ ამოვიდეს დღის სინათლეზე პარტიული ჭურიდან და მაშინ შეიძლება დაინახოს, რომ ულმობელი ცხოვრება ყურით მიათრევს ბოლშევიკებს ფედერალისტების ეკონომიკისა და პოლიტიკისაკენ. ამას ხედავს დღეს ყველა, ვისაც ჟურნალისტობ მეჯ ჟურნალები წაუკითხავს და რაიმე შეუსმენია.

რაც შეეხება ამხ. გ. ჩარხიშვილს, მისი განაწყენება გაუგებრობას უნდა მიეწეროს. მე რამდენადაც ვიცი გიორგი ჩარხიშვილი არის ავტორის ლიტერატურული სახელი, პსევდონიმი და და ვუწოდე წერილში ნამდვილი ნათლის სახელი გვარქა არა დაცინვით და დამამცირებლად,—აბა რა დამცირებაა ნათლის სახელის წოდება!—არამედ იმის აღსანიშნავად, რომ ავტორი არ იცნობს საკმაოთ საქართველოს, განსაკუთრებით ჩვენ სოფელს, და აფასებს ისეთ პიესას, რომელიც ამ სოფლის ცხოვრებას გვიხატავს. ლაპარაკია პიესა „გუგუმ ჭკორზედ“. ამხ ჩარხიშვილს დაუჯერია: „ამ პიესაში გატარებულია სამეგრელოს გლეხთა აგრარული მოძრაობა. პიესა დღევანდელ მოძრაობის დამახასიათებლად ჩაითვლებოდა, რომ შიგ ნაციონალიზმს არ ჰქონდეს ადგილი და დღევანდელ საერთაშორისო მოძრაობის მიზნით იყოს გამსჭვალული“. „გასაოცარია, თუ აქ გაუგებარი რა არის, რომლესაც მე ვაკვირდით, მოკლედ ვსწერ და ვამბობ: ემჯობინებოდა პროლეტარიატსაც შეხებოდა მეთქი“.

აქ გასაოცარია შემდეგი: რეცენზენტი მოითხოვს, რომ პიესაში, რომელიც ახასიათებს სამეგრელოს გლეხთა აგრარულ მოძრაობას, გამოყვანილი იყოს პროლეტარიატიც. საიდან მოიყვანოს ეს პროლეტარიატი ავტორმა, თუ კი მას სამეგრელოში ვერ პოულობს?

მეორე უცნაურობა: რეცენზენტი მოითხოვს, რომ პიესა თანამედროვე საერთაშორისო მოძრაობის მიზნებით იყოს გამსჭვალული და ეროვნულ მოტივებს კი ადგილი არ ჰქონდეს შიგ. როგორ? თანამედროვე საერთაშორისო მოძრაობას განა არ ახასიათებს ეროვნული მისწრაფებანიც? მართლაც ჭურში უნდა იჯდეს ჩვენი რეცენზენტი. ასწიეთ ცოტა სარქველს და გაიგონებთ ჩაგრულ ერთა ყიჟინას: ძირს ყოველნაირი იმპერიალიზმი! გაუმარჯოს ერთა თავისუფლებასაო!

დასასრულ ჩვენი ავტორი ეროვნულ კითხვაზედაც ფილოსოფოსობს: ნაციონალიზმს სრულიად არავითარი ინტერესი არა აქვს სოფლის გლეხისა და ქალაქის პროლეტარიატისათვისო. ორივეს ინტერესი გამოიხატება ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებითო.

შეიძლება იყოს გამონაკლისი და თითო-ოროლა პირი ასე ჰფიქრობდეს. ეს პათოლოგიური მოვლენაა და თავისი მიზეზები აქვს. ისე კი არც ერთი ქვეყნის მუშათა და გლეხთა ინტერესი არ ამოიწურება ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებით. ამის არ ცოდნა არ ეპატიება თანამედროვე კომუნისტს, თუ გინდ ის ბუხარინის ანბანზე და რ. კ—ს სტატიებზე იყოს აღზრდილი.

ერთი უცნაურობა კიდევ (ნეტავი უკანასკნელი იქნებოდეს!): ავტორი თვითონ თავის ნამდვილ სახელ და გვარს არ აწერს წერილებს და ჩემზე სწერს ვინაობას მალავსო. არ ვიცი რას მივაწერო ასეთი „თავდავიწყება“..

ასოთ ამწყობი დ. მ—შვილი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—ღრ. მთავარი კომიტეტი.

**დავკარგე** სტუდენტობის მოწმობა № 1147 კონსტანტინე კვაჭაძის სახელობაზე ჩაითვალოს გაუქმებულად.